

## ვალერიან სიღამონ-ერისთავი (თეა ცინაური)

საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე: ფერმწერი, გრაფიკოსი, კარიკატურისტი, თეატრის და კინოს მხატვარი, ვალერიან სიღამონ-ერისთავი, დაიბადა 1889 წ. 20 ივნის ყვარელში. მამა, ვლადიმერი წარმოშობით თავადი, მომსახურეთა წრეს ეკუთვნოდა. როდესაც დედა, ნინო დეკანოზიშვილი გარდაიცვალა, ბავშვი ხუთი წლის იყო. ვალერიანი გაზარდა დედინაცვალმა, ოღლა ბუნიათოვამ.

პირველადი განათლება ვალერიან სიღამონ-ერისთავმა, თელავის მახლობლად სოფელ საცხენისის სკოლაში მიიღო. შემდეგ მშობლებმა ის თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში შეიყვანეს, მაგრამ მხატვრობით გატაცებული ტოვებს გიმნაზიას და 1903 წელს შედის თბილისის სამხატვრო სტუდიაში, სადაც მას ასწავლიან ალ. მრეველიშვილი და ბ. ფოგელი. 1906 წელს სტუდიის დახურვის გამო იგი იძულებულია სამხატვრო განათლებისთვის მოსკოვში წასვლაზე იფიქროს.

**1908 – 1914** წლებში ვალერიან სიღამონ-ერისთავი სწავლობს მოსკოვის ფერწერის, ქანდაკების და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში ფერწერის განყოფილებაზე.

1915 წელს ბრუნდება საქართველოში.

საინტერესო მოვლენა იყო მისი თანამშრომლობა გაზეთთან “საქართველო”, 1915 -1916 წლების მანძილზე მან ამ გაზეთისთვის ოთხმოცამდე ილუსტრაცია და კარიკატურა შეასრულა.

1917 წელს მოგზაურობს არზრუმში, ქმნის ტიპაჟებს, ყოფითი სცენების ჩანახატებს. ამავე პერიოდში ქმნის ისტორიულ ფერწერას “თმარ მეფე” (1917 წ.), “კრწანისის ბრძოლა” (1919 წ.), “ერეკლეს პირველი ღაშქრობა ლეკების წინააღმდეგ (1922 წ.) და სხვა.

მუდმივი ქართული დრამატული დასის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით 1920 წელს ვალერიან სიღამონ-ერისთავი, თეატრში იწვევს მუშაობას. ის იყო პირველი პროფესიონალი თეატრის მხატვარი, რომელმაც მოღვაწეობის ოცი წლის მანძილზე, თავისი გარკვეული წვლილი შეიტანა ქართულ დეკორატიულ მხატვრობაში. 1922 წელს აფორმებს რუსთველის თეატრის სპექტაკლებს: “ცხვრის წყარო” და “მზის დაბნელება საქართველოში”. 1923 წელს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, ზაქარია ფალიაშვილის ოპერა “დაისი“-ს პირველი დადგმის მხატვარია. 1924 წელს არაყიშვილის ოპერა “შოთა რუსთაველი”, ხოლო 1940 წელს კი ანდრიაშვილის ოპერა “კაკაო ყაჩაღი” გააფორმა. გარდა ქართული ოპერებისა, ვალერიან სიღამონ-ერისთავი მუშაობდა რუს და დასავლეთ ევროპულ კომპოზიტორთა ოპერების მხატვრულ გაფორმებაზე. მისი უკანასკნელი ნამუშევარია გუნოს ოპერა “ფაუსტი” (1942 წ.).

1922 წლიდან მუშაობდა კინოს მხატვრად, იგი დაახლოებით ოცდათხუტმეტი ფილმის მხატვარია. მათ შორის კოტე მარჯანიშვილის ფილმებისა “კრაზანა” და “კომუნარის ჩხუბი” (1929 წ.), კოტე მიქაბერიძის ფილმის “ჩემი ბებია” – ირაკლი გამრეკელთან ერთად (1929 წ.), მიხეილ ჭიაურელის ფილმისა “უკანასკნელი მასკარადი” (1939 წ.).

1920 –იანი წლების მეორე ნახევრიდან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. იყო სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტის დეკანი.

ვალერიან სიღამონ-ერისთავი გარდაიცვალა 1943 წელს.

1. ცნობა გაცემული თბილისის სამხატვრო სასწავლებლის მიერ ვალერიან სიღამონ-ერისთავისადმი, ამავე სასწავლებელში 1903 – 1906 წლებში სწავლის შესახებ.

თბილისი. 1906 წ. 6. XII. დასტამბული. ხელით შევსებული. ფოტო ასლი. ხელს აწერენ: დირექტორი ა. (გვარი არ იკითხება), კლასის ზედამხედველი პ. ვერლოვი (?). ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ. 2 ეგზ.

2. მოწმობა გაცემული მოსკოვის ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებლის მიერ ვალერიან სიღამონ-ერისთავისადმი. მოსკოვი. 1909 წ. 15. (?). დასტამბული. ხელით შევსებული. ფოტო ასლი. ხელს აწერენ: დირექტორი და საქმეთამმართველი (გვარები არ იკითხება). ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ. 2 ეგზ.

3. ვალერიან სიღამონ-ერისთავის შრომის წიგნაკი. თბილისი. 1929 წ. დასტამბული. ხელით შევსებული. მელანი. ბეჭედდასმული. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

4. ვალერიან სიღამონ-ერისთავის ავტობიოგრაფია. 1934 წ. 22. III. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ

5. ვალერიან სიღამონ-ერისთავის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი. 1938 წ. 16. IX. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელით შევსებული. მელანი. ხელს აწერენ: ვ. სიღამონ-ერისთავი, ობალუნსკაია (?). ქართულ და რუსულ ენებზე. 4 გვ.

6. ვალერიან სიღამონ-ერისთავის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი. 1938 წ. 20. X. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. ხელს აწერენ: ვ. სიღამონ-ერისთავი, კაკაბაძე. ბეჭედდასმული. ქართულ და რუსულ ენებზე. 4 გვ.

7. ვალერიან სიღამონ-ერისთავის ავტობიოგრაფია. პირი: კორინი, გორსკი, კასატკინი, არხიპოვი, პასტერნაკი, კორიკინი, მალუტინი, სტეპანოვი, ა. ვასნეცოვი, ბერია. 1938 წ. 10. X. ნაბეჭდი. ხელნაწერი. დამოწმებული მანევეის (?) მიერ. ხელს აწერს ვ. სიღამონ-ერისთავი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 3 გვ.

8. ამონაწერი ბრძანება № 404, ვალერიან სიღამონ-ერისთავის თბილისის სამხატვრო აკადემიაში მუშაობისაგან განთავისუფლების შესახებ.

პირი: კაკაბაძე.

1939 წ. 2. IV. ხელნაწერი. ნაბეჭდი. ხელს აწერს ზ. მაჭავარიანი. დამოწმებული (ხელმოწერა არ იკითხება). ბეჭედდასმული. 1 გვ.

9. ვალერიან სიღამონ-ერისთავის ავტობიოგრაფია.

პირი: მირზოიანი, ვ. შანშიაშვილი, დ. კასრაძე, ი. დეკანოზოვი, თარხანოვი, მრადკოვსკი, არაქელიანი, იუონი, დუდინი, კორინი, გორსკი, კასატკინი, პასტერნაკი, არხიპოვი, ა. ვასნოცევი, კ. კორიკინი, მამოტინი, სტეპანოვი, ა. წუწუნავა, შალიკაშვილი, ნ. ჩხეიძე, ეფიმოვი, როპკინი, ქ. მაღალაშვილი, მამაცევი, ა. მრევლიშვილი, მ. ჭიაურელი.

1939 წ. 15. XII. თბილისი. ნაბეჭდი. ხელს აწერს – ვ. სიღამონ-ერისთავი. რუსულ ენაზე. 6 გვ.

10. საქართველოს საბჭოთა მხატვართა კავშირის სხდომის ოქმის ამონაწერი, ვალერიან სიღამონ-ერისთავისადმი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის სახელის მინიჭების შესახებ.

პირი: ქ. გიორგაძე, კილარჯიშვილი, ჩიქოვანი.

1939 წ. 28. XII. ნაბეჭდი. ხელს აწერს ალექსიშვილი (?). ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.

11. საქართველოს ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის სხდომის ოქმის ამონაწერი, ვალერიან სიღამონ-ერისთავისადმი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის სახელის მინიჭების შესახებ.

პირი: გვინჩიძე, ცივის-განჯა.

1940 წ. 20 III. ნაბეჭდი. დამოწმებული. (ხელმოწერა არ იკითხება). ხელს აწერს ჩოჩიევი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.

12. ცნობა გაცემული მოსკოვის კავშირგაბმულობის ინსტიტუტის დირექციის მიერ, ვალერიან სიღამონ-ერისთავისადმი, ამავე ინსტიტუტში 1940 – 1940 წლებში სწავლის შესახებ.

პირი: ნადეჟდინი, შებესი.

მოსკოვი. 1946 წ. 2. III. – 4. IV. ნაბეჭდი, ხელით შევსებული. ასლი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.

13. ვალერიან სიღამონ ერისთავის დახასიათება.

უთარილო. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: საქ. საბჭოთა მხატვრების კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ქ. გიორგაძე. მდივანი – ა. კოპალიანი. 1 გვ.

14. ვალერიან სიღამონ-ერისთავის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.

უთარილო. ბლანკი. ხელით შევსებული. ხელს აწერს ვ. სიღამონ-ერისთავი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

## პირადი

15. ვალერიან სიღამონ-ერისთავის პირადი ხასიათის წერილი ბიძისადმი.

პირი: ირაკლი, გოგლიკო, სანდრო, ნიკო, ვიქტორია.

1914 წ. 7. VIII. ავტოგრაფის ფოტო ასლი. 3 გვ.

16. ვალერიან სიღამონ-ერისთავის პირადი ხასიათის წერილი ბიძისადმი.

პირი: ირაკლი, გოგლიკო, სანდრო, ვიქტორია.

1914 წ. 20. XII. ავტოგრაფის ფოტო ასლი. 1 გვ.